სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სოციალური კვლევების ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №16; 26.09.2023წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/

თელავი
2023 წელი

მუხლი1.ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") სოციალური კვლევების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი") წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები

2.1. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზნები:

ა) საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა;

ბ) კვლევის ახალი მეთოდების ლექტორებისათვის, დოქტორანტებისათვის და სტუდენტებისათვის გაცნობისა და დანერგვის ხელშეწყობა;

გ) ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება;

დ) საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების ჩატარების უზრუნველყოფა;

ე) სემინარების, ვებინარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მიღწეული შედეგების წარმოჩენა;

2.2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ამოცანები:

ა) კვლევითი კომპონენტის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;

ბ) მკვლევარებისთვის შესაბამისი გარემოს და კვლევის სერვისების შექმნის მხარდაჭერა;

გ) სოციალურ კვლევებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

დ) კვლევების მომზადებისა და გამოცემის ინიცირება;

ე) საქართველოსა და უცხოელ მკვლევარებთან კონტაქტების დამყარება;

ვ) სემინარების, ვებინარების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელშეწყობა;

ზ) სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის საზაფხულო სკოლების, კონკურსების მოწყობის ორგანიზება;

თ) სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების მომზადებისა და გამოცემის ხელშეწყობა;

ი) სტუდენტებისთვის კვლევების შედეგების ხელმისაწვდომობის და მათი სასწავლო დისციპლინებში ასახვის უზრუნველყოფა;

კ) სოციალურ კვლევებთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელება და მხარდაჭერა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ლ) უნივერსიტეტის წესდებით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც მართავს ცენტრის ხელმძღვანელი. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს და სხვა თანამშრომლებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

2. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

3. ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის ხელმძღვანელი და ცენტრის მთავარი სპეციალისტი და კონსულტანტი/ები.

4. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელი

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრის მიერ განსახორციელებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის კომპეტენციებისა და ფუნქციების შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის წინაშე;

ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წინადადებებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, სამუშაოს ორგანიზების და სხვა საკითხების შესახებ;

თ) შუამდგომლობს უნივერსიტეტის თანამშრომელთა აკადემიური კეთილსინდისიერების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ი) დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5. ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

5.1. მთავარი სპეციალისტი:

ა) ვალდებულია ჩაერთოს ცენტრის მიერ განსახორციელებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაში, ცენტრის ხელმძღვანელის კოორდინაციით;

ბ) მონაწილეობს დაგეგმილი აქტივობების საორგანიზაციო პროცედურებში;

დ) ახორციელებს ცენტრისათვის საჭირო ინფორმაციის შენახვას და მუდმივ განახლებას;

ე) ცენტრის საქმიანობის შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მკვლევართა და სტუდენტთა ორგანიზაციულ და საინფორმაციო მომსახურებას;

ვ) ახდენს ცენტრში შემოსული და ცენტრიდან გასული წერილობითი ინფორმაციის თავმოყრას და დამუშავებას;

ზ) უზრუნველყოფს ცენტრის ხელმძღვანელის მიერ მითითებული დავალებების შესრულებას და წარუდგენს მას შედეგებს;

თ) დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5.2 ცენტრის კონსულტანტი/ები:

ა) კონსულტანტის/ების მოწვევა ხდება ცენტრის ხელმძღვანელის მიერ საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად.

ბ) კონსულტანტი/ები უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურეობას, რომლის პირობებიც გაწერილია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 6. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ცენტრი საქმიანობას წყვეტს ნებისმიერ დროს ცენტრის მიზნების ამოწურვის შემდეგ.
2. ცენტრის საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) შემდეგ მისი ქონება რჩება უნივერსიტეტს, თუ ცენტრსა და მის დამფინანსებლებს შორის შეთანხმებით ან შესაბამისი პროექტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.